

UDC 303.725:32:005.311

SCOPUS CODE 1702

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-134-147>

საზოგადოებრივი პოლიტიკის შეფასება მოდელირებით

ოლეგ ნამიჩეიშვილი ხელოვნური ინტელექტის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: o.namicheishvili@gtu.ge

ჟუჟუნა გოგიაშვილი კომპიუტერული ინჟინერიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: j.gogiasvili@gtu.ge

რეცენზენტები:

მ. კიკნაძე, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი

E-mail: m.kiknadze@gtu.ge

ო. თავდიშვილი, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

E-mail: tavdishviliotar08@gtu.ge

ანოტაცია. საზოგადოებრივი პოლიტიკის შეფასება დიდწილად ეფუძნება სამეცნიერო მიდგომას, რომელიც მიმართულია ჩვენი ცოდნის გაღრმავებისკენ, საზოგადოებრივი პოლიტიკის უამრავი ვარიანტის ზემოქმედების შესახებ. ამ მიდგომის საწყისი წერტილია ჩვენი უმეცრების ხარისხი სათანადო სფეროში - ის, რისი აღიარება ყოველთვის ადვილი როდია - და, ამრიგად, შეფასების ჩატარების შედეგად, ჩვენი ცოდნის გაღრმავება იმ მიზნებისკენ მიმავალი გზების შესახებ, რომლებიც სახალხო განხილვის შედეგად წამოიჭრება და დაისახება.

წარმოდგენილია საზოგადოებრივი პოლიტიკის შეფასების მიზნები, ტექნიკური და ინსტიტუციური პრობლემები. შეფასების ამოცანებია სამეცნიერო ცოდნის გაფართოება, პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების დახმარება და დემოკრატიულ სახალხო განხილვებში წვლილის შეტანა. შეფასება არ ზღუდავს პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღებას ექსპერტების მცირე ჯგუფის მიერ და, პირიქით, არის აუცილებელი პირობა საზოგადოებრივ დებატებში გამოკვეთილი რაციონალური აზრის მისაღებად, ყველა მოქალაქის მიერ. ექსპერტიზა უნდა ითვალისწინებდეს შეფასების ისეთი მეთოდების არჩევა-

საც, რომლებიც დამოკიდებულია არსებულ მონაცემებსა და შესაფასებელ პოლიტიკაზე. ამავდროულად წარმოდგენილია ამჟამად მისაწვდომი მეთოდების არატექნიკური მიმოხილვა, რომელიც ამ მეთოდების უპირატესობებისა და შეზღუდვების შედარებას ახდენს. საზოგადოებრივი პოლიტიკის შეფასებაში მონაწილე ინსტიტუციებზე შეჩერების შემდეგ განიხილება გასაღების მორგება შეფასებათა ინსტიტუციურ წარმატებებზე.

საკვანძო სიტყვები: მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკა, საზოგადოებრივი პოლიტიკა, სოციალური ინოვაციები, შეფასების მეთოდები, წინასწარი (*ex ante*) და მომდევნო (*ex post*) ზემოქმედებათა შეფასები.

შესავალი

დავიწყოთ იმით, რომ საზოგადოებრივი პოლიტიკისადმი მიდგომა სრულებითაც არ გულისხმობს ექსპერტთა მთავრობის შექმნას. პირიქით, მისი მიზანია სათანადო ცოდნის წარმოჩენა, რომელიც აუცილებელია იმ არჩევანის დასაბუთებისათვის, რომლის მიღება მოქალაქეებს უხდებათ და მათ მიერ ნდობით აღჭურვილ წარმომადგენლებს. ამ მიზნის მისაღწევად საკმარისი არ არის შეფასების ყველაზე მოწინავე მეთოდების გამოყენება; ასევე აუცილებელია, რომ იყოს უტყუარი, სარწმუნო, ხორციელდებოდეს პოლიტიკური ძალაუფლებისაგან დამოუკიდებელი მონაწილეების მიერ და ხელს უწყობდეს ფართო გავრცელების გზით – სამეცნიერო შედეგების

ინტეგრაციას საზოგადოებრივ დისკუსიაში. სწორედ ეს წარმოაჩენს იმ შეფასებათა ინსტიტუტების სარგებლობას, რომლებიც ყველა ამ შეზღუდვას ითვალისწინებს.

არსებობს საზოგადოებრივი პოლიტიკის შეფასების მრავალი მეთოდი, რომლებიც გულისხმობს რაოდენობრივი, სტატისტიკური ან ეკონომეტრიული მიდგომების გამოყენებას. ჩვენი მიზანი მასალის არა ტექნიკური აღწერა¹, არამედ თითოეული მეთოდის უპირატესობებისა და შეზღუდვების მოკლე მიმოხილვა. იგი არსებითად იმ მიდგომებს ეყრდნობა, რომლებიც წარმოდგენილია ჟურნალ «საზოგადოებრივი ეკონომიკის» თანარედაქტორის (co-editor of the Journal of Public Economics), ფრანგ-შვეიცარიელი ეკონომისტ ანტუან ბოზიოს (Antoine Bozio, დაბ. 1978) საეტაპო ნაშრომში [1] და ეხება საზოგადოებრივი პოლიტიკის შეფასების პრობლემებს, მეთოდებსა და ინსტიტუტებს.

ეფექტური შეფასება დამოკიდებულია, უპირველეს ყოვლისა, მისაწვდომი მეთოდების მთელი სპექტრის სწორად გამოყენებაზე, კონკრეტული შეზღუდვების გათვალისწინებით, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში.

შეფასებათა მეთოდებს შორის, ჩვეულებრივ, გამოყოფენ *ex ante* და *ex post* შეფასებებს. *ex-ante* შეფასება პოლიტიკის გატარების დაწყებამდე ხდება და ამ პოლიტიკის პოტენციური შედეგების ანალიზში მდგომარეობს; *ex-post* შეფასება კი მიმართულია მისი რეალური ზემოქმედების გაზომვაზე ძალაში შესვლის შემდეგ. სხვადასხვა მეთოდის გადმოცემის შემდეგ წარმოგიდგენთ მესამე მიდგომასაც, რომე-

¹ ამჟამად მისაწვდომია მრავალი სტატია და წიგნი იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ამ მეთოდების რეალიზება [2, 3, 4, 5, 6, 7].

ლიც აღწერილი მდგომარეობის გაერთიანებას ისახავს მიზნად წინა შეფასებათა შედეგების ეკონომიკური ანალიზის საშუალებით, რათა განისაზღვროს საზოგადოებრივი პოლიტიკის არქიტექტურის ისეთი არჩევა, რომელიც შეიძლება იყოს ოპტიმალური დასმული მიზნების გათვალისწინებით.

ძირითადი ნაწილი

ზემოქმედების წინასწარი (*ex ante*) შეფასება

წინასწარი (*ex ante*) შეფასება მდგომარეობს მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფის მიმართ პოლიტიკის დანერგვის მოდელირებაში. იგი გულისხმობს მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებას მიმდინარე ცოდნის თვალსაზრისით. განსაზღვრების თანახმად, *ex ante* შეფასება გულისხმობს შესაფასებელი სიდიდის «თეორიული ზემოქმედების» ცოდნას.

გამოყენება საზოგადოებრივი პოლიტიკის რეალიზების დაწყებამდე

ზემოქმედების, გავლენის შეფასების ძირითადი მიზანია ცვლილებათა მოდელირება რთულ საკანონმდებლო აქტებში, როგორიცაა დაბეგვრა (გადასახადის შეწერა) ან საპენსიო სისტემა. პირველი ნაბიჯი იმ მოსახლეობის დადგენაა, რომელზეც გავლენას მოახდენს შემოსაღები ცვლილება. ამისათვის, ჩვეულებრივ, გამოიყენება მიკროიმიტაციური მოდელები [8]. შეფასების ეს ფორმა ეფუძნება იმ ეკონომიკური სივრცის მეტად თუ ნაკლებად გამარტივებულ წარმოდგენას, რომელშიც მოქმედებენ ე.წ. აგენტები და გამოიყენება დაგეგმილი საზოგადოებრივი პოლიტიკის გავლენის მოდელირებისათვის შესაბამისი ეკონომიკური აგენტების (ინდივიდები, შინამეურნეობები, საწარმოები და ა.შ.) რეპრეზენტატულ ამონაკ-

რებზე, ამონარჩევზე. მაგალითად, თუ გინდათ ისეთი საპენსიო რეფორმის გავლენის შეფასება, რომელიც ვარაუდობს სავალდებულო შესატანების (ან სისტემის სხვა პარამეტრის) პერიოდის გაზრდას, მაშინ მოდელირების ასეთი ტიპი უზრალოდ აუცილებელია. სისტემისა და საწყისი მონაცემების (ვთქვათ, ცალკეულ ადამიანთა კარიერის განაწილება) სირთულის გამო, ექსპერტებისათვისაც კი ხშირად შეუძლებელია საპენსიო სკალის (ვინ ზარალდება, როგორია გავლენა საბიუჯეტო ბალანსზე) ცვლილებით გამოწვეული ეფექტის წინასწარმეტყველება, რეფორმის დეტალური მოდელირებისადმი მიუმართავად.

სტატისკური მიკროიმიტაციური მოდელები – სოციალურ-ფისკალური არჩევა

მიკროიმიტაციური მოდელებიდან ყველაზე უფრო ხშირად გამოიყენება ე.წ. «სტატისკური» მოდელები - სტატისკური იმ გაგებით, რომ ისინი, ჩვეულებრივ, ქვეყნის სოციალურ-საბიუჯეტო სისტემის მოდელირებას გარკვეული წლისათვის ახორციელებს. ხსენებული მოდელები შეიძლება შეიცავდეს კიდევ ქვევით რეაქციებს (და, ამრიგად, დინამიკური რეაქციის ფორმას), მაგრამ შეზღუდულია მოკლევადიანი რეაქციით.

ეს მოდელები ფართოდ გამოიყენება ფისკალური და საბიუჯეტო პოლიტიკაზე პასუხისმგებელი საზოგადოებრივი უწყებების მიერ იმიტომ, რომ მხოლოდ ხსენებული მეთოდების გამოყენებაა შესაძლებელი სოციალური და ფისკალური პოლიტიკის შესაფასებლად. აკადემიურ ინსტიტუტებს კი შეუძლია სათანადო მეთოდების ახალი სახეების შექმნა ამ პოლიტიკის გავლენის შესასწავლად და გასაანალი-

ზებლად. ფისკალურ კვლევათა ინსტიტუტი (Institute for Fiscal Studies, IFS) ლონდონში ამდგარი სამეცნიერო ცენტრის ძალიან კარგი მაგალითია. 1979 წლიდან იგი მუშაობს TAXBEN (ინგლ. the tax-benefit model – საგადასახადო შეღავათების მოდელი) სახელწოდებით ცნობილ მოდელზე, რომელიც გამოიყენება როგორც კვლევითი მიზნებისათვის, ისე ბრიტანეთის საზოგადოებისათვის საბიუჯეტო დეტალების დროს, ინფორმაციის მისაწოდებლად ამა თუ იმ საგადასახადო და სოციალური პოლიტიკის არჩევასთან დაკავშირებულ შედეგებზე².

ეს მიკროიმიტაციური მოდელები ხასიათდება მონაცემთა სხვადასხვა წყაროს (გამოკითხვისა და ადმინისტრაციული მონაცემების ჩათვლით) გაერთიანების აუცილებლობით, რეპრეზენტაციული ანაზღაურების მისაღებად ყველა აუცილებელი ცვლადით [9]. მაგალითად, თუ ვაპირებთ ირიბი საგადასახადო დაბეგვრის შეცვლის შეთავსებას პირდაპირი დაბეგვრის შეცვლასთან, მაშინ აუცილებელია ინფორმაციის მიღება შინამეურნეობათა არა მხოლოდ შემოსავალზე, არამედ მათ სამომხმარებლო კალათზეც.

ეს ინფორმაცია მონაცემთა ერთსა და იმავე წყაროებიდან ყოველთვის მისაწვდომი არ არის, ამიტომ მონაცემთა ფიქტიური ბაზის აღსადგენად, რომელიც რამდენიმე წყაროს აერთიანებს, შეიძლება სტატისტიკური შესაბამისობის (კოჰერენტულობის) მეთოდების გამოყენება.

ამ მოდელების ძირითადი შეზღუდვა მდგომარეობს იმაში, რომ შედეგს იძლევა «ერთი დღის შემდეგ» და ქცევითი რეაქციების არსებობა მხედველ-

ბაში არ მიიღება. ეს კი განსაკუთრებით პრობლემური მაშინ ხდება, როცა საგადასახადო სიახლეთა შემოღება ძირითად მიზნად სწორედ ქცევის ცვლილებას ისახავს. ამ მიზეზით ხსენებულ მოდელებში შეტანილია ქცევითი რეაქციები, უფრო ხშირად ცვლილებების სახით შრომის მიწოდებაში, რითაც ხდება იმ ფაქტის გათვალისწინება, რომ შრომის ფინანსური სტიმულები, დიდი ალბათობით, ცვლის კონკრეტული პოლიტიკის საბოლოო ღირებულებას. მაგრამ კაპიტალიდან შემოსავლის დაბეგვრაში ცვლილებათა შეტანისას უფრო მნიშვნელოვანია ქცევითი რეაქციები, დაბეგვრის ოპტიმიზაციის ან საერთოდ მისგან თავის არიდების ასპექტში. ასეთი ქცევითი რეაქციების მხედველობაში მიღება კი აუცილებელია.

საბოლოო ჯამში, ასეთი მიდგომა პოლიტიკის უკუკავშირის ყველა ეფექტის მოდელირების საშუალებას იძლევა, მათ შორის მაკროეკონომიკური წონასწორობის ეფექტისაც. თუმცა პრაქტიკაში მეორე და მესამე რიგის ეფექტების გათვალისწინების სიმწიფე და შედეგების ზრდადი განუსაზღვრელობა გვაიძულებს გამოვიჩინოთ გარკვეული თავდაქმრილობა, რაც, ჩვეულებრივ, იწვევს ყოველი მოდელირების რამდენიმე ვარიანტის წარმოდგენის აუცილებლობას [10].

დინამიკური მიკროიმიტაციური მოდელები – საპენსიო რეფორმები

მიკროიმიტაციური მოდელის სხვა ვარიანტი, დინამიკური მოდელი, ფართოდ გამოიყენება საზოგადოებრივ საპენსიო სისტემებთან მომუშავე ად-

² სახელმწიფო პოლიტიკის ინსტიტუტი (ფრანგ. IPP, Institut des Politiques Publiques) — ფრანგული დაწესებულება, რომელიც სხვებზე უფრო ფართოდ იყენებს ამ მიდგომას. მისი საგადასახადო (ინგლ. TAX) მიკროსიმულაციური TAXIPP მოდელი მსგავს შეფასებათა გაკეთების საშუალებას იძლევა საფრანგეთისათვის.

მინისტრაციებში. აქ ასევე დგას პარამეტრების ცვლილებათა ან უფრო რთულ რეფორმათა შედეგების პროგნოზირების ამოცანა. მოდელი დინამიკურია იმ თვალსაზრისით, რომ იგი მოსახლეობის ევოლუციის მოდელირებას დროის გრძელ (20 წლიდან 50 წლამდე) მონაკვეთზე ახორციელებს. ეს წინასწარმეტყველება კი არ არის, არამედ სხვადასხვა სცენარის პროგნოზი, რომელიც ეფუძნება დაშვებებს დემოგრაფიული და ეკონომიკური ფაქტორების ცვლილებათა შესახებ (სიკვდილიანობა, ზრდის ტემპები და ა.შ.).

მიკროიმიტაციურ მოდელში მოიცემა რეფორმათა არარსებობის რამდენიმე სცენარი (მაკროეკონომიკური ან დემოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე), ხოლო შემდეგ საპენსიო სისტემის მოქმედი კანონმდებლობის მოდელირება ხდება. ეს საშუალებას იძლევა მივიღოთ თავდაპირველი წარმოდგენა საბიუჯეტო დისბალანსზე ან პენსიების დონეზე მეტ-ნაკლებად გრძელვადიან პერსპექტივაში. ამის შემდეგ შეიძლება განვახორციელოთ რეფორმის მოდელირება და განვსაზღვროთ, ვის შეეხება იგი (ინდივიდუალურ დონეზე) და როგორი აღმოჩნდება საბიუჯეტო შედეგები.

იმისათვის, რომ მიკროსიმულაცია უფრო რეალისტური გახდეს, აუცილებელია ცალკეულ ადამიანთა ქცევაზე შესაფასებელი მახასიათებლის გავლენის მხედველობაში მიღება. ეს გულისხმობს აგენტთა რეაქციების «დაკალიბრების» შესაძლებლობას მოდელის (მოცემულ შემთხვევაში - საპენსიო კანონმდებლობასთან დაკავშირებული ქცევის) ძირითადი პარამეტრების ემპირიულ შეფასებათა საფუძველზე. ქცევის მოდელირება ასეთ მოდელებში

შეიძლება ეფუძნებოდეს მარტივ წესებს ან შეფასებებს, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, კეთდება ადრე ჩატარებული *ex post* ემპირიული კვლევებით.

მიკროსიმულაციური მოდელების სულისკვეთებით ხორციელდება სტრუქტურული ეკონომეტრიკის მოდელებიც [11]. მიდგომა ეფუძნება მოსახლეობის იმ ეკონომიკური მოდელების ფორმალიზებას, რომლებიც სავარაუდოდ უცვლელ «სტრუქტურულ» პარამეტრებს განსაზღვრავს. ეს მოდელები ფასდება სხვადასხვა კროსსექციური ან საპანელო მონაცემით და იდეალურ შემთხვევაში მოდელი განსაზღვრება კარგად იდენტიფიცირებული რეფორმის საფუძველზე. თუ მოდელი განსაზღვრულია კარგად, რაც განსაკუთრებით რთულია, ნიშნავს, რომ შესაძლებელია მოდელირებული ჩარევის ფორმის ნებისმიერი ცვლილების განხორციელება, რათა შეფასდეს იმ ზემოქმედების (გავლენის) ტიპი, რომელსაც ხსენებული ჩარევა, სავარაუდოდ, მოახდენს. ეს მიდგომა, რომელიც განსაკუთრებით რთულია, თეორიულად ჩარევათა მრავალი ვარიანტის ტესტირების საშუალებას იძლევა, მაგრამ მისი შეზღუდულობის სიცხადე იმაში მდგომარეობს, რომ შეუძლებელია ქცევისა და ზემოქმედების ყველა შესაძლო ნაირსახეობის დაწვრილებითი მოდელირება.

ზემოქმედების მომდევნო (*ex post*) შეფასება

Ex post ხასიათის ყველა შეფასება გულისხმობს კონტრაფაქტური (ინგლ. counterfeit – ყალბი, ნაყალბევი, რიოში), ირეალური სცენარის აგებას ანუ სცენარის აგებას საწინააღმდეგოს დაშვების ხერხით, სხვანაირად რომ ვთქვათ, ისეთი სცენარის შექმნას, რომელიც მაქსიმალურად უახლოვდება იმას, რაც ხდება მაშინ თუ პოლიტიკა არარეალიზებული რჩე-

ბა. საზოგადოებრივი პოლიტიკის გავლენის, ზემოქმედების გაზომვისას, «უპოლიტიკო» ამ სცენარის შედარება ხდება იმასთან, რასაც შეიძლება დავაკვირდეთ უკვე ამოქმედებული შესაფასებელი სისტემის პირობებში.

იდენტიფიკაციის საკითხი

ის, რასაც ეკონომისტები იდენტიფიკაციას უწოდებენ, სამეცნიერო მიდგომაა, რომელიც განსაზღვრავს გარკვეულ ჰიპოთეზებს. ამ ჰიპოთეზათა შესაბამისად გავლენის (ზემოქმედების) შეფასების მეთოდს პოლიტიკის მიზეზობრივი ეფექტის გაზომვის საშუალება ეძლევა. ამ მიდგომის ეპისტემოლოგიური (ცოდნასა და დასაბუთებულ რწმენასთან დაკავშირებული მოძღვრებით) დასაბუთება ფორმალიზებული იყო რუბინისა (Rubin) [12] და ჰოლანდის (Holland) [13] მიერ, გარკვეული D ჩარევის Y_i პოტენციური ეფექტების სახით. სახელდობრ, თუ D_{0i} სიმბოლოთი აღვნიშნავთ D პოლიტიკის რეალიზაციას, ხოლო D_{0i} სიმბოლოთი – ამ პოლიტიკის არარსებობას, Y_{1i} სიმბოლოთი – მიზნობრივ შედეგს პოლიტიკის რეალიზაციის პირობებში, ხოლო Y_{0i} სიმბოლოთი – შედეგს მისი არარსებობისას, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ამოცანად ვაყალიბებთ $Y_{1i} - Y_{0i}$ მიზეზობრივი ეფექტის გაზომვას მისი შესაბამისი i -ური ერთეულისათვის, როგორცაა, მაგალითად, ინდივიდი, შინა მეურნეობა ან კომპანია.

გავლენის, ზემოქმედების შეფასების ფუნდამენტური პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ $Y_{1i} - Y_{0i}$ სიდიდის გაზომვა შეუძლებელია, ვინაიდან ამ ორი კონტრაფაქტური სამყაროს ერთდროულად არსებობა შეუძლებელია ერთსა და იმავე ადამიანებისათვის, ერთსა და იმავე ქვეყნებისათვის, ერთსა და იმავე კომპანიებისათვის და ა.შ.

გავლენის, ზემოქმედების შეფასების მეთოდები მიმართულია იმისკენ, რომ დადგინდეს რა სახის ჰიპოთეზათა პირობებში შევძლებთ რაღაც ისეთის გაზომვას, რაც მოგვცემს $Y_1 - Y_0$ სიდიდის საშუალო მიზნობრივ მნიშვნელობას.

ექსპერიმენტირება შესაძლო განზოგადებამდე

პირველი მიდგომა, რომელსაც აქ წარმოვადგენთ, შემთხვევითი ექსპერიმენტებია. მიდგომა პირდაპირ დაკავშირებულია მკურნალობის ეფექტის შეფასების სამედიცინო მეთოდებთან: პოლისის პოტენციურ ბენეფიციართა რიცხვიდან წილისყრით ისინი განისაზღვრებიან, ვინც მიიღებს პოლისს (მკურნალობის ჯგუფი), და ისინი, ვინც პოლისს არ მიიღებს (საკონტროლო ჯგუფი). თუ გავზომავთ ორივე ჯგუფისათვის საინტერესო კრიტერიუმებს, რომლებიც უნდა შეესაბამოდეს პოლიტიკის მიზანს და გავატარებთ განსხვავებებს ორ ჯგუფს შორის, მივიღებთ ექსპერიმენტული სისტემის ეფექტის მიზეზობრივ ზომას. სწორედ შემთხვევითი განაწილება უზრუნველყოფს იდენტიფიკაციის დაცვას, შენახვას.

საზოგადოებრივი პოლიტიკის რეალიზაციის შესწავლის სურვილისას, ექსპერიმენტები შეიძლება ამ პოლიტიკის საყოველთაოდ დანერგვამდე ჩატარდეს. ეს პროცესის ნაკლები დანახარჯებით განხორციელებისა და პოლიტიკის მთელი ქვეყნის მასშტაბით გაშლამდე შეცდომების თავიდან აცილების საშუალებას იძლევა, ისევე როგორც ჩარევის შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღების თუ ასეთი ჩარევა ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდა.

ზოგიერთი სქემა, რომელიც მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ადამიანების თვითშერჩევაზე, მხოლოდ ამ მეთოდით შეიძლება იყოს საიმედოდ შეფასებული. მსგავსი მიდგომის უპირატესობა

ისაა, რომ იგი ძალიან დამაჯერებელ მეთოდს სთავაზობს არასპეციალისტებს: იგი არ ეფუძნება რთულ ეკონომეტრიკულ მეთოდებს და ინტუიციითაც შეიძლება გასაგები იყოს. ეს საზოგადოებრივ დისკუსიაში ისეთი ელემენტის შემოტანის საშუალებას იძლევა, რომლის უარყოფა, უკუგდება მნელია და ამავდროულად მას შეუძლია რომელიმე დაინტერესებული მხარე აიძულოს შეაფასოს თავისი ამოჩემებული აზრი ან წინასწარშექმნილი მცდარი წარმოდგენა.

სამედიცინო ექსპერიმენტთა შემთხვევის მსგავსად, ეს მეთოდი მოითხოვს მონაწილეთა თანხმობას და შემფასებელი სპეციალისტების მხრიდან ეთიკური ნორმების უმკაცრეს დაცვას. მაგალითად, საგადასახადო რეფორმის გატარება, ზედა ზღვრული საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის შემთხვევითი აწევის (მომატების, გაზრდის) გზით, ძალიან საინტერესო იქნება მეცნიერული თვალსაზრისით, მაგრამ მისი რეალიზება რთული აღმოჩნდება არათანასწორობასთან დაკავშირებული ეჭვების გამო, რომლებსაც იწვევს თუნდაც იმავე სამედიცინო პრაქტიკაში დიფერენცირებული მკურნალობა.

ზემოქმედების (გავლენის) შეფასება პოლიტიკის დანერგვის შემდეგ

მეთოდების მეორე ჯგუფი მდგომარეობს შემთხვევითი ექსპერიმენტის სტატისტიკურ რეპროდუცირებაში (აღწარმოებაში, განმეორებაში), ეს ექსპერიმენტი რომც არ ჩატარდეს პოლიტიკის შემოღების მომენტში.

ამ მეთოდებს «ბუნებრივი ექსპერიმენტები» ეწოდება, ვინაიდან მსგავს ექსპერიმენტებს მკვლევრები მხოლოდ «ბუნებაში», სინამდვილეში, რეალობაში პოულობენ. ხშირად, პოლიტიკის დანერგვისას მისი

მოქმედება შემოიფარგლება ბენეფიციართა ჯგუფით, გარკვეული ადმინისტრაციული მიზნების გამო. რეალიზაციის ასეთი წესები თავისთავად ქმნის *საკონტროლო ჯგუფებს*, სხვანაირად მოსახლეობის ერთობლიობებს *მიზნობრივი ჯგუფის* მონაცემთა მსგავსი მახასიათებლებით, თუმცა ამოქმედებული პოლიტიკისგან სარგებლობას, ხეირს ეს ჯგუფები არ იღებს.

ამ მეთოდებიდან, უპირველეს ყოვლისა, შეიძლება დასახელდეს «ორმაგ განსხვავებათა» მეთოდი ანუ «განსხვავება განსხვავებებში» (ინგლ. difference in differences, ანუ DID) მიდგომა, რომელიც მარტივ პრინციპს ეყრდნობა: საქმე ეხება ადამიანთა ორი ჯგუფის შედარებას, მათ შორის ერთ-ერთში ადამიანები გადიან მკურნალობას (და პაციენტთა ამ ჯგუფზე გავლენას ახდენს შესაფასებელი საშუალება), ხოლო მეორეში – საკონტროლო ჯგუფში – ეს საშუალება არ გამოიყენება და გავლენასაც არ ახდენს ადამიანებზე. სავალდებულო არ არის, რომ ეს ჯგუფები შეიქმნას შემთხვევით ან იყოს მკაცრად იდენტური. ამ მეთოდის კორექტულობისათვის საკმარისია, რომ «პოლიტიკის არარსებობისას ორივე ჯგუფი ემორჩილებოდეს ერთსა და იმავე ტენდენციას». მაშინ მეთოდი დაიყვანება განსხვავების გატარებამდე სიტუაციებს შორის რეფორმის წინ და რეფორმის მერე თითოეულ ჯგუფში, ბოლოს განსხვავების დადგენამდე (სწორედ აქედან მოდის მეთოდის «განსხვავება განსხვავებებში»). ვინაიდან ჯგუფების შექმნა შემთხვევით არ ხდება, მეთოდის მდგრადობა დამოკიდებულია წინასწარ დაშვებაზე საერთო ტენდენციის არსებობის შესახებ ამ ორ ჯგუფს შორის. სწორედ ეს ჰიპოთეზა უნდა შემოწმდეს შემფასებელ სპეცია-

ლისტთა მიერ ან პლაცებოტესტების³ ჩატარებით რეფორმის დაწყებამდე ან სხვა საკონტროლო ჯგუფებზე. განსხვავების ვიზუალიზაცია ერთი გრაფიკის საშუალებით, რომელიც ორივე ჯგუფს წარმოადგენს, ხშირად უზრუნველყოფს მაიდენტიფიცირებად ჰიპოთეზის ინტუიციურ წარმოდგენას.

არსებობს კიდევ ერთი მეთოდი, კვლავ იმავე ბუნებრივი ექსპერიმენტების ასპექტში, რომელსაც «რეგრესია წვევების მახლობლობად» (ინგლ. Regression discontinuity design, ანუ RDD) ეწოდება. იდეა მდგომარეობს კანონით დადგენილი ზღვრის, ჭერის ან ნებისმიერი ადმინისტრაციული წესის გამოყენებაში, რაც, თავის მხრივ, ქმნის ადამიანთა ძალიან მსგავს, დაახლოებულ ორ ჯგუფს – მათ, ვინც იმყოფება ზღვარზე ოდნავ ზემოთ და მათ, ვინც იმყოფება ზღვარზე ოდნავ ქვემოთ. მაიდენტიფიცირებად ჰიპოთეზა მდგომარეობს იმაში, რომ ზღვრის მახლობლად ადამიანები ერთმანეთს ჰგვანან მხოლოდ შესასწავლი მოდელის წვდომის თვალსაზრისით. მაგალითად, მოდელი, რომელიც შექმნილია ახალგაზრდობის დაკავების ხელშესაწყობად, ღიაა მხოლოდ 18 - 25 წლის ასაკის ახალგაზრდებისათვის: შეგვიძლია შევადაროთ 26 წელს მინუს ერთი თვე ასაკის ახალგაზრდები და ისინი, ვინც 26 წლისა და ერთი თვისაა. ასეთი ახალგაზრდები, ცხადია, ძალიან ჰგვანან ერთმანეთს შრომისა და გამოცდილების ბაზრისადმი წვდომის თვალსაზრისით, მაგრამ ზოგიერთი მათ შორის მიიღებს სარგებლობას დასაქმების პოლიტიკისაგან, ხოლო სხვები – არა.

ეს მეთოდი რომ კარგად მუშაობდეს, მონაცემთა ბაზაში დაკვირვებათა საკმარისი რაოდენობა უნდა იყოს წარმოდგენილი. ამ გზით შეიძლება შემოვიფარგლოთ ადამიანებით, რომლებიც იმყოფებიან წვევების ოდნავ ზემოთ ან ოდნავ ქვემოთ – რაც უფრო ცილდებით ამ თავისუფალ (საკუთარი ნებით არჩეულ) წერტილს, მით მეტია იმის ალბათობა, რომ ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან უფრო მეტად, ვიდრე «ორმაგ განსხვავებათა» მიდგომა. ეს მეთოდი ლოკალურ შედეგს იძლევა, რომელიც მხოლოდ წვევების არეშია სამართლიანი. ზოგჯერ წვევთა ძალიან მკაფიოდ გამოხატული არ არის და ამ მეთოდის გამოყენებამ შეიძლება დისკუსია გამოიწვიოს. ასეთ შემთხვევაში წვევების არეში ინდივიდთა მახასიათებლების გრაფიკული წარმოდგენა, არჩეული სტრატეგიის ხაზგასმით, გამორჩევის ყველაზე დამაჯერებელი ხერხია.

შეფასების კიდევ ერთი მეთოდი - განმეორებად ხდომილობათა (ინგლ. event study) კვლევა ეფუძნება მარტივ განსხვავებას «-მდე»-სა და «მერე»-ს («შემდეგ»-ს, «შემდგომ»-ს) შორის, მაგრამ ასეულობით შემთხვევისათვის. მარტივი განსხვავება არ შეიძლება იყოს გამოყენებული პოლიტიკის გავლენის გამოსარკვევად მთლიანობაში, ვინაიდან მრავალი ისეთი მოვლენა არსებობს, რომლებიც ერთდროულად ხდება, თუმცა არ ნიშნავს, რომ დაფიქსირებული ეფექტი მართლაც მიზეზშედეგობრივია. განმეორებად ხდომილობათა შესწავლისას სწორედ მათი სიმრავლის გამოყენების ფაქტი ანიჭებს მიდგომას წო-

³ ტერმინით *პლაცებოტესტი* (ლათ. placebo, სიტყვასიტყვით - «ვიქნები საწადელი/მოსაწონი») აღინიშნება ადამიანის გუნების, განწყობილების გაუმჯობესება იმის წყალობით, რომ მას გარკვეული ზემოქმედების ეფექტურობის რწმენა აქვს, თუმცა სინამდვილეში ეს ზემოქმედება ნეიტრალურია და მისი პირდაპირი ეფექტი არ შეინიშნება.

ნადობას. მკვლევარი უნდა დარწმუნდეს, რომ საშუალოდ (წინა წლებში, ჩარევამდე) არ არსებობს ადრე არსებული ტენდენცია და თუ ეს დასტურდება, მაშინ შეიძლება ჩამოყალიბდეს მიზეზობრივი ინტერპრეტაცია. ეს მეთოდი კარგად მიესადაგება ძალიან ხშირ ხდომილობებს და არცთუ ისე იშვიათად ანალიზდება ფინანსთა სფეროში (მაგალითად, გარკვეულ განცხადებათა გავლენა აქციების ფასებზე), მაგრამ შეიძლება გამოიყენებოდეს მრავალ სხვა სფეროშიც (მაგალითად, ცვლილებები ადგილობრივ ხელისუფალთა განაკვეთებში).

«დაჯგუფების» (ინგლ. *bunching*) სახელწოდებით ცნობილი უფრო თანამედროვე მეთოდი გულისხმობს დაკვირვებათა ზედმეტი კონცენტრაციის არსებობის შესწავლას სიმკვრივის გარკვეულ წერტილამდე, ვინაიდან კონცენტრაციის ასეთი სიჭარბე ასახავს ქცევის გარკვეულ რეაქციებს. მაგალითად, იმ ხარისხს ან იმ ძალ-ღონეს, რომლითაც ფიზიკური პირები ცდილობენ ორიენტირებას საშემოსავლო გადასახადების ტრანშიდან (ფრანგ. *tranche* - გადასახადელი თანხის ნაწილი, წილი) «ამოვარდნის» თავიდან აცილებაზე ან თუნდაც ყველა იმ ღონეს, რომლითაც კომპანიები გამიზნულად ათავსებს საკუთარ თავს ზღვრულ მნიშვნელობებზე უფრო დაბლა, უფრო ქვემოთ საქონლის ბრუნვის ან თანამშრომელთა რაოდენობის მიხედვით. ტექნოლოგიის ეს ტიპი განპირობებულია იმით, რომ სულ უფრო ხშირად ჩნდება ადმინისტრაციულ მონაცემებზე წვდომის მოპოვების შესაძლებლობა, როცა ანარჩევი (ამონაკრები) ძალიან დიდია, რაც განაწილების განსაზღვრულ წერტილთა მასშტაბს მკვეთრად ზრდის – ასე-

თი მიდგომის უპირატესობა ისაა, რომ იგი იმ ქცევითი რეაქციების შეფასებათა საშუალებას იძლევა, რომლებიც შეიძლება აისახოს კონკრეტული რეფორმის ფარგლებში მონაცემების მარტივი ჯვარედინი (კროსსექციური) ანალიზით.

კროსსექციური მონაცემები⁴ მონაცემთა განივი (გარდიგარდმო) ჭრილია (ან, თუ გნებავთ, კვეთა ანაჟერი, ანათალი). დაპროგრამებაში ეს ტერმინი აღნიშნავს ელემენტების ამოკრების, ამორჩევის ოპერაციას მონაცემთა ამა თუ იმ სტრუქტურიდან. სტატისტიკასა და ეკონომეტრიკაში კი განივი ჭრილის მონაცემები ის მონაცემებია, რომლებისთვისაც სტატისტიკურ ერთეულთა დაკვირვება დროის მხოლოდ გარკვეულ (ფიქსირებულ) მომენტში ხდება.

შევჩერდეთ *ex-post* შეფასების ბოლო მეთოდზე მასში წარმოდგენილია სტატისტიკური შეპირისპირების (შედარების, შეჯერების) მეთოდები (ინგლ. *matching*). პრინციპი მდგომარეობს საკონტროლო და მკურნალობის ჯგუფების შექმნაში, დასაკვირვებელი მახასიათებლების საფუძველზე. თითოეული ადამიანისათვის საკონტროლო ჯგუფში შეირჩევა (ცნობილი მახასიათებლების თანახმად) იდენტური ადამიანი, რომელზეც გავლენა მოახდინა შესაფასებელმა სისტემამ: იგივე ასაკი, იგივე სქესი, იგივე განათლება, იგივე ხელფასი და ა.შ. რაც უფრო სრულია ინფორმაცია, მით უკეთესია შედეგები და მით მეტია მსგავსი ჯგუფების შექმნის შესაძლებლობა. ეს მეთოდი შეიძლება გამოვიყენოთ «ორმაგ განსხვავებათა» მეთოდთან შეხამებით, შეთავსებით და შეწყობით შეფასების უტყუარობის, უეჭველობის ასამაღლებლად. პრობლემა ამ მიდგომასთან დაკავში-

⁴ კროსსექციური მონაცემები (ინგლ. *cross section data*) - სხვანაირად სივრცითი მონაცემები.

რებით ჩნდება დაუკვირვებადი, უჩინარი ცვლადების გამო (როცა ისინი მონაცემებში არ არის ასახული ან როცა მათი დაკვირვება შეუძლებელია). თუ უჩინარ მახასიათებლებს შეუძლია ახსნა, რატომ შეეხება ან არ შეეხება ადამიანს სქემა, მაშინ შერჩევის მეთოდი, სავარაუდოდ, არაეფექტური აღმოჩნდება. მაგალითად, თუ ერთი შეხედვით მსგავსმა ადამიანებმა ნებაყოფლობით უნდა მიიღონ მონაწილეობა პროგრამაში, არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ მათ სხვადასხვანაირად იმოქმედონ. მაგალითად, ერთმა ნაწილმა გადაწყვიტოს მონაწილეობის მიღება, ხოლო მეორე ნაწილმა – არა. გამოდის, რომ სინამდვილეში ხსენებული ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან (თუნდაც, მოტივაციით).

ეკონომიკური ანალიზი

ხარჯისა და გამორჩენის ანალიზი

საზოგადოებრივი პოლიტიკის ზემოქმედების გაზომვა საკმარისი არ არის თავდაპირველად დასახული მიზნების თვალსაზრისით ამ პოლიტიკის ეფექტურობის დასადგენად. პოლიტიკა ეფექტურად მხოლოდ მაშინ მიიჩნევა, როცა მისი სარგებლობა, უპირატესობა საზოგადოებისათვის გაწეულ დანახარჯს აღემატება. დანახარჯისა და უპირატესობის ანალიზი გულისხმობს ამ ორი კომპონენტის ფულადი ღირებულების განსაზღვრას, რათა მოხდეს პოლიტიკის წმინდა ღირებულების გაანგარიშება. ანალიზის ეს ნაირსახეობა ხშირად იხმარება *ex-ante* გადაწყვეტილებათა მიღების ინსტრუმენტად და ასევე შეიძლება იყოს გამოყენებული ანალიზურ საფუძველად *ex-ante* შეფასებისათვის. საზოგადოებრივი პოლიტიკით მიღებულ წმინდა მოგებათა დაყვანილი ღირებულების გაანგარიშება უფრო რთუ-

ლია, ვიდრე კერძო ინვესტიციათა დაყვანილი ღირებულების. მაშინ, როცა საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღება შეიძლება ხდებოდეს წარმოების ფაქტორთა და ინვესტიციათა პროგნოზირებული რენტაბელობის (მომგებიანობის) საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით, საზოგადოებრივი პოლიტიკის დანახარჯისა და ხეირის (სარგებლის, გამორჩენის) შეფასება იშვიათად შეიძლება იყოს დაფუძნებული საბაზრო ფასებზე. ზოგიერთ შემთხვევაში ასეთი ფასები შეიძლება არსებობდეს კიდევ, მაგრამ ისინი არ ასახავს სოციალურ დანახარჯებსა და სარგებელს, ვინაიდან ვერ ითვალისწინებს გარედან შემოტანილ შესაძლო ეფექტებს, დაბინძურებულია ინფორმაციული ასიმეტრიითა და წესრიგდება (რეგულირდება) საზოგადოების მიერ. სხვა შემთხვევაში ასეთი ფასები უბრალოდ არც არსებობს. მაგალითად, გარემოს დაბინძურებით გამოწვეული ეკოლოგიური ზიანის (ზარალის) სოციალური ღირებულება ძნელია შეფასდეს ისეთი ბაზრის არარსებობისას, რომელიც გაზომავს შენარჩუნებული, დაცული გარემოს ღირებულებას. ამ შეზღუდვათა მიუხედავად, საზოგადოებრივი პოლიტიკის სარგებლობის, ხეირისა და უპირატესობის რაოდენობრივი შეფასება, მსგავსი მეტრიკის დახმარებით, მნიშვნელოვანი ნაბიჯია, როცა რამდენიმე შესაძლო ზომის შესაბამის ღირსებათა შედარებას ვაპირებთ. *ex-post* შეფასებიდან დანახარჯისა და სარგებლის (შემოსავლის, მოგების) ანალიზზე გადასვლა რიგ სიმძნელებთან არის დაკავშირებული: აუცილებელია დანახარჯის სრული შეფასების მიღება (პირდაპირი ხარჯი, ადმინისტრაციული ხარჯი, ბენეფიციარებთან დაკავშირებული ხარჯი, დასაფინანსებლად აუცილებელი საგადასახადო გამოსაღების – მოსაკ-

რებლის ღირებულება და ა.შ.). დაბოლოს, საზოგადოებრივი ჩარევის სრული შეფასებისათვის აუცილებელია არაფულადი დანახარჯისა და ხეირის გათვალისწინებაც (ბენეფიციარების სტიგმატიზაცია, ოჯახების დემორალიზაცია და ა. შ.).

ოპტიმალური მიდგომა პრობლემისადმი

ხარჯისა და სარგებლის ანალიზი შეიძლება გამოიყენებოდეს საზოგადოებრივ პოლიტიკაზე გაწეული სარგებლისა და ხარჯის შესადარებლად, მაგრამ ხშირად აუცილებელია უფრო შორს წასვლა, რომ შეფასდეს საზოგადოებრივი ჩარევის ოპტიმალური, გონივრული ხასიათი. მხედველობაში იქნეს მიღებული მიღწეული გადანაწილება, საერთო კეთილდღეობის გაუმჯობესება, ჩარევის თავსებადობა უკვე მიმდინარე სხვა პოლიტიკასთან და ა.შ.

კლასიკური ეკონომიკური ანალიზი, რომელიც ინგლისურ ენაში ცნობილია როგორც *optimal design* (ოპტიმალური დაგეგმარება), ცდილობს მკაფიო არგუმენტების წარმოდგენას სოციალური არჩევანის სასარგებლოდ, გადანაწილების კოლექტიური გადაწყვეტილებისა და საზოგადოებრივი პოლიტიკის სტრუქტურირების წესის მრავალფეროვნების ასპექტში.

კერძოდ, შემოსავალთა დაბეგვრისა და სოციალური შეღავათების პოლიტიკის ანალიზის ფარგლებში, რომელიც ცნობილია ოპტიმალური ბეგარის შეწერის სახელწოდებით, ეს მეთოდები ცდილობს კოლექტიური კეთილდღეობის მაქსიმიზაციას და მხედველობაში იღებს უფრო მეტ ტვირთს მოსახლეობის განსაკუთრებით მოწყვლადი, გულნატკენი, თავმოყვარეობაშელახული ფენებისა და ყველაზე უფრო ნაკლებად უზრუნველყოფილი პირებისათ-

ვის. იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ობიექტურად, სამართლიანად, მიუკერძოებლად წარმოვადგინოთ სუბიექტური, მხოლოდ ცალკეული პიროვნებების აზრის გამომხატველი, პირადული და, მაშასადამე, არაობიექტური, მიკერძოებული პოლიტიკური არჩევანი და მისი მიღების არგუმენტები გაშუქდეს, დასაბუთდეს კამათში. განსაკუთრებით საინტერესო ფაქტები შეეხება, მაგალითად, საგადასახადო პოლიტიკას დასაქმებული, მომუშავე ღარიბების, დატაკების, გაჭირვებულების სასარგებლოდ (ცთქვათ, ინგლ. activity bonus – დახმარება, შემწეობა აქტივობისათვის ან ინგლ. working tax credit – საგადასახადო კრედიტი დასაქმებულისათვის), რაც თავის დროზე შესწავლილია საეზის (Emmanuel Saez) მიერ [14].

ვინაიდან ეს პიროვნებები არ არიან მოსახლეობის ყველაზე უფრო ღარიბი, დატაკი და ნაკლებად უზრუნველყოფილი მოქალაქენი, ამიტომ, როგორც წესი, არ არსებობს არგუმენტები სიღარიბესთან ბრძოლის ზემოთ აღწერილი პოლიტიკის გატარების სასარგებლოდ, როცა არ იზომება მნიშვნელოვანი ქცევითი რეაქცია *ექსტენსიურ მარჯაზე*, ე. ი. მოგებაზე, რომელსაც განაპირობებს განსხვავება შემოსავალში დადებითი თუ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღებისას, დასაქმებასთან დაკავშირებით.

უკანასკნელ შემთხვევაში სიღარიბესთან ბრძოლის პოლიტიკით შეიძლება დადგინდეს, რომ უფრო ხელსაყრელია კი არ შემოვიფარგლოთ უბრალოდ მინიმალური შემოსავლის დაწესებით, არამედ ასევე გავაფართოოთ დასაქმებული ღარიბების მხარდაჭერა. საბოლოო ჯამში, ასეთი მიდგომა მოითხოვს დიდი მოცულობის შრომატევად ეკონომიკურ ანალიზს – თეორიულად პასუხი გასაცემი გვექნება დის-

ციპლინის ყველა თეორიული და ემპირიული ხასიათის კითხვაზე. მაგრამ ასეთი მიდგომა იმასაც შეგვახსენებს, რომ საზოგადოებრივი პოლიტიკის ანალიზი არ შემოიფარგლება ეფექტურობის ან ფულადი მაჩვენებლების გაანგარიშებით, საბოლოო მიზანი მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებაა.

დასკვნა

საზოგადოებრივი პოლიტიკის შეფასების მეთოდების ამ მოკლე მიმოხილვის დასრულებისას მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ არ არსებობს იდეალური მეთოდი ნებისმიერი კონტექსტისათვის და სწორი მეთოდის შერჩევა მოცემული შემთხვევის შეფასების საუკეთესოდ ჩატარების საშუალებას იძლევა. ამიტომ, აუცილებელია ყველა არსებული მეთოდების ათვისება და მიმდინარე კვლევათა ახალი მიდგომების შესწავლა ყველაზე უფრო ხელსაყრელის ასარჩევად, შესასწავლი პრობლემისათვის.

ასევე, სამწუხაროდ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად არსებობს კომპრომისი შესაფასებელი პოლიტიკის იდენტიფიკაციის ხარისხსა და სოციალურ ინტერესებს შორის. პოლიტიკის ცალკე აღებული ასპექტი ზოგჯერ ძალიან ზუსტი შეფასების ჩატარების საშუალებას იძლევა მაშინაც კი, როცა მას აქვს წყვეტები ან გამოყენებადობის მცადრი კრიტერიუმები, ხოლო ეროვნული მასშტაბის პოლიტიკის შეფასება მტკიცებულების იმავე ხარისხით ვერ ხერხდება. ზოგჯერ მკვლევართ უჩნდებათ ცდუნება მიანიჭონ უპირატესობა ჩარევის საიმედო იდენტიფიკაციას, თუმცა დიდია იმის რისკი, რომ ასეთ შემთხვევაში ისინი ვერ გამოთქვამენ საკუთარ აზრს საზოგადოებრივი პოლიტიკის რთულად შეფასებელ ძირითად მიმართულებებთან დაკავშირებით.

შირებით, მაგრამ საზოგადოებამ მაინც უნდა გამოხატოს თავისი შეხედულება პოლიტიკაზე ხსენებული მიმართულებებით.

საზოგადოებრივი პოლიტიკა თანამედროვე დემოკრატიული პროცესის განუყოფელი ნაწილია. მოქალაქეთა წვდომა საზოგადოებრივი პოლიტიკისადმი, რომელიც სახელმწიფოში ტარდება, დღეს ხარისხიან და ქმედით საზოგადოებრივ დისკუსიათა აუცილებელი პირობაა. გავრცელებული აზრის საწინააღმდეგოდ, საზოგადოებრივი პოლიტიკის შეფასება არ წარმოადგენს პროცესს, რომელმაც უნდა ჩაანაცვლოს ექსპერტთა მთავრობის მიერ გადაწყვეტილებათა დემოკრატიულად მიღება. პირიქით, ეს არის პროცესი, რომელმაც უნდა გამოაცოცხლოს დემოკრატია რთულ სამყაროში, სადაც მოქალაქენი ჩართული არიან გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში და ფლობდნენ მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაციას საზოგადოებრივ პოლიტიკაზე, რომელსაც კენჭი ეყრება.

საზოგადოებრივი პოლიტიკის შეფასება ეყრდნობა მიზეზშედეგობრივი კავშირის გამოვლენას მოქმედ პოლიტიკასა და მის შედეგებს შორის. ბოლო წლებში მეცნიერთა მიერ მრავალი სტატისტიკური მეთოდი წამოყენებული საზოგადოებრივი პოლიტიკის ეფექტების გულდასმით გაზომვისათვის. მეთოდების შერჩევა და მათი გამოყენების ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ უთმობენ ყურადღებას შემფასებლები ყველა მნიშვნელოვანი ფაქტორის გათვალისწინებასა და სანდო კონტრარგუმენტის წამოყენებას.

მაგრამ შეფასების დემოკრატიულობისათვის საკმარისი არ არის, რომ სპეციალისტი ფლობდეს მხოლოდ ყველა თანამედევ ფაქტორს და მათი შეფასების

მეთოდს. ამავდროულად მას უნდა შეეძლოს და-
მოუკიდებლობის დაცვა, საკუთარი პიროვნე-
ბისადმი ადამიანთა განწყობა ნდობით, მისი გარან-
ტირება და საკუთარი ანალიზის შედეგების საზო-
გადოებამდე დაყვანა. ამისათვის შეფასების პრო-
ცესი უნდა მიმდინარეობდეს როლების გამიჯვნით
შემკვეთსა (ე. ი. პოლიტიკაზე პასუხისმგებელ ად-

მინისტრაციასა) და შემფასებელს შორის, თითო-
ეული მათგანის პრეროგატივის დაცვით.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კარგი შეფასება აუ-
ცილებლად კარგ პოლიტიკას არ ქმნის. შეფასება,
უპირველეს ყოვლისა, საშუალებას გვაძლევს უკეთ
გავიგოთ როგორი ზემოქმედება შეიძლება მოახდი-
ნოს სახელმწიფო ჩარევამ და მათ შესახებ გვი-
ზიარებს ცოდნას.

ლიტერატურა

1. Bozio, A. (2015). L'évaluation des politiques publiques: Enjeux, méthodes et institutions. *Revue française d'économie*, 29(4), 59–85. <https://doi.org/>
2. Paul, S., Milet, H., & Crovella, É. (2016). *L'évaluation des politiques publiques (Comprendre et pratiquer)*. Presses de l'EHESP. 182p.
3. Blanchet, D., Hagnere, C., Legendre, F., & Thibault, F. (2016). Évaluation ex post et ex ante: L'apport de la microsimulation. *Revue économique*, 67(4), 685–696.
4. Gibert, P., & Andrault, M. (1984). Contrôler la gestion ou évaluer les politiques? *Politiques et Management public*, 2(2), 123–133.
5. Wildavsky, A. (1972). The self-evaluating organization. *Public Administration Review*, 32(5), 509–520.
6. Duran, P. (2010). L'évaluation des politiques publiques: Une résistible obligation. Introduction générale. *Revue française des affaires sociales*, (1–2).
7. Imbens, G. W., & Wooldridge, J. M. (2009). Recent developments in the econometrics of program evaluation. *Journal of Economic Literature*, 47(1), 5–86.
8. Wassmer, E. (2014). L'évaluation des politiques publiques: Faut-il de l'interdisciplinarité? *Économie et Prévision*, 204–205, 193–209.
9. Duran, P. (2013). La responsabilité administrative au prisme de l'action publique. *Revue française d'administration publique*, 47(3), 589–602.
10. Bozio, A., Guillot, M., & Laffeter, Q. (2015). Portée et limites du modèle Taxipp pour l'analyse redistributive des prélèvements obligatoires. *Économie et Statistique*, 481–482, 31–50.
11. Auerbach, A. J. (1996). Dynamic revenue estimation. *Journal of Economic Perspectives*, 10(1), 141–157.
12. Meghir, C. (2006). Dynamic models for policy evaluation. In R. Blundell, W. Newey, & T. Persson (Eds.), *Advances in Economics and Econometrics: Theory and Applications, Ninth World Congress* (Vol. 2, pp. 255–278). Cambridge University Press.
13. Rubin, D. B. (1974). Estimating causal effects of treatments in randomized and nonrandomized studies. *Journal of Educational Psychology*, 66(5), 688–701.
14. Holland, P. W. (1986). Statistics and causal inference. *Journal of the American Statistical Association*, 81(396), 945–960.
15. Saez, E. (2002). Optimal income transfer programs: Intensive versus extensive labor supply responses. *The Quarterly Journal of Economics*, 117(3), 1039–1073.

UDC 303.725:32:005.311

SCOPUS CODE 1702

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-134-147>

Public Policy Evaluation Through Modeling

Oleg Namicheishvili Department of Artificial Intelligence, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.

E-mail: o.namicheishvili@gtu.ge

Zhuzhuna Gogiasvhili Department of Computer Engineering, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.

E-mail: j.gogiasvili@gtu.ge

Reviewers:

M. Kiknadze, Professor, Faculty of Informatics and Control Systems, Doctor of Technical Sciences, GTU

E-mail: m.kiknadze@gtu.ge

O. Tavdishvili, Associate Professor, Faculty of Informatics and Control Systems, GTU

E-mail: tavidshviliotar08@gtu.ge

Abstract. Public policy evaluation is largely based on a scientific approach aimed at increasing our knowledge of the impact of a wide range of public policy options. The starting point of this approach is the degree of our ignorance in the relevant field - something that is not always easy to admit - and, thus, by conducting an evaluation, our knowledge of the paths to the goals that will be raised and set as a result of public deliberation is deepened.

The objectives, technical and institutional problems of public policy evaluation are presented here. The tasks of evaluation are to expand scientific knowledge, to assist in policy decision-making, and to contribute to democratic public deliberation. Evaluation does not limit policy decision-making to a small group of experts and, on the contrary, is a necessary condition for the acceptance by all citizens of the rational opinion expressed in public debates. The expertise should also consider the choice of evaluation methods that depend on the available data and the policy to be evaluated. At the same time, a non-technical overview of currently available methods is presented, comparing the advantages and limitations of these methods. After focusing on the institutions involved in social policy evaluation, the key to institutional success of evaluations is discussed.

Keywords: Evaluation methods; Evidence-based practice; Ex ante and ex post impact assessment Public policy; social innovations.

განხილვის თარიღი 24.07.2025

შემოსვლის თარიღი 17.02.2025

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.09.2025